1937 / 2



პიონერი

N8

1 9 3 7 წ.

პიონერი

წელიწადი მეთოთრმეტე

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

აგვისტო 1937 წ. № 8

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	**დარია ახვლედიანი**—სიმღერა (ლექსი)	1
2.	პროფ. **ე. ტარლე**—რიეგო	2
3.	**ლ. ჯიჯინაძე**—ხრიკი	6
4.	**არ. ოგელი**—ისევ სკოლა, ისევ სწავლა (ლექსი)	7
5.	**არჩ. დავთიანი**—მოსკოვ-ვოლგის არხი	8
6.	**სანდრო ულენტი**—ფოთლები (ლექსი)	9
7.	**მიხეილ გარამიძე**—კალმახობა	10
8.	**შჩედრინი**—ფხიზელი თვალი (ზღაპარი)	12
9.	**ვლ. კახიანი**—ბეჰემოტი	14
10.	**თ. შავერზაშვილი**—მუსიკალური გამოცანა (მუსიკა)	15
11.	კროსვორდი,—შედგენილი **ნ. ჯაფის** მიერ	16
12.	**იასამანი,**—ბუნებრივი კალენდარი	გარეკანის მე-3 გვ.
13.	**კ. თევზაძე,**—გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარია ახვლედიანი

ჩემი ქვეყნის ტურფა დილა
ოქროს შუქით იმოსება,
ცა იცინის, ზღვა კაშკაშებს
და მთის თხემზე სხივი კრთება.
ეს შუქია სულ სხვა ფერად
მოციმციმე, მოელვარე,
მან აქცია ტკბილ სიმდერად
საბჭოეთის ყველა მხარე.
და მეც მინდა კვლავ გიმღერო
შვება, ლხენავ, სიხარულო,
სტალინ, ქვეყნის ახალო მზევ,
ჩაგრულ მოძმის გრძნობავ სრულო!
შენ მოგვფინე ეს ნათელი,
არ სმენილი, არ ნახული,
დიდი ხნიდან შენი სიბრძნის
ნაფიქრი და განზრახული.
შენ შეაშვრე ჩვენს სხეულზე
ნამი სვეტდით დანაწური,
შხამად აწვეს ჩვენს მტრებს გულზე
ეს ცხოვრება საამური.
დაე, მტრის გულს მწარედ ღრღნიდეს
სანეტარო ჩვენი ყოფა,
შენ კი მარად გვინათებდე,
სხივმოსილო დიდო კოცბა!
„იცოცხლე და ინეტარე
უბედურთ და ჩაგრულთ მხსნელო!“
სხვებთან ერთად ასე მღერის
შენი მზრდელი საქართველო.

2021

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ე. ფარღე



ბავშვობის წლები

ერთერთ გემს, რომელიც ამჟამად მედგრად იცავს რევოლუციური ესპანეთის ნაპირებს, რიეგო ჰქვია: დიდი ხანია, რაც ამ სახელს შესტრფის ესპანეთის ხალხი.

ვინ იყო ეს კაცი? რიეგო წარსული დროის ერთერთი გამოჩენილი ესპანელი რევოლუციონერია.

1785 წელს ესპანეთში ღარიბი აზნაურის ნუნეცდელ რიეგოს ოჯახს შეეძინა ვაჟი, რომელსაც ანტონიო—ალექსანდრე დაარქვეს.

მაშინ ესპანეთში მეფის ხელისუფლება იყო. ბიჭუნა დელ რიეგო ბალღობიდანვე ვერ იტანდა ყოველგვარ უსამართლობას, ჩაგვრასა და შეურაცხყოფას.

ერთხელ რიეგო მამას წაჰყვა მეზობლად მდებარე მამულში. გზაზე უცნაური პროცესია შეხვდათ. ბიჭი პირველად ხედავდა ასეთ რაიმეს. წინ მოდიოდნენ თეთრ ბალახონებში გამოწყობილი ადამიანები, ხელში ეჭირათ ანთებული სანთლები და სამგლოვიარო გალობას აგუგუნებდნენ. ესენი ბერები იყვნენ. ბერების უკან მოჰყავდათ კაცი. მასაც გრძელი თეთრი ტანსაცმელი ეცვა. მაგრამ პირისახე დაფარული ჰქონდა, თოკით შეკრული ხელები კი ზურგზე დაეწყოთ.

—ეს რა ამბავია?—ჰკითხა პატარა რიეგომ მამას. მამამ აუხსნა: ეს კაცი დამნაშავეა, მწვალებელია, კათოლიკურ ეკლესიას არ ეთანხმება და ამისათვის ინკვიზიციის დიდმა სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტაო. წესის მიხედვით, ეს კოცონზე უნდა დაეწვათ, მაგრამ მეფემ შეიწყალა და ნება დართო ჩამოახრჩონო.

ანტონიო პროცესიას აედევნა. მან დაინახა, როგორ მოჰკიდეს ხელი იმ კაცს, აიყვანეს ფიცარნაგზე, როგორ ჩამოაცვა ჯალათმა კისერზე თოკი და მერე კი სახრჩობელაზე ჩამოკიდა.

ბიჭი ატირდა, აფართხალდა მამის კალთაში: მას ნერვიულ ნიადაგზე ბნედა დაემართა. რამდენიმე დღე იავადმყოფა ბავშვმა.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ დაივიწყა რიეგომ ეს საშინელი სურათი და შემდეგ ამბობდა, რომ სწორედ მაშინ (იმ დროს კი იგი მხოლოდ 8 წლის იყო) შეეზიზღნენ მას მჩაგვრელები, რომლებიც ჰკლავენ იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ თავისუფლად გამოთქვან თავისი აზრები. ბავშვობიდანვე შეეზიზღა მას კათოლიკური ეკლესია და ბერები.

პატარა რიეგო ხშირად შეეკითხებოდა ხოლმე ხან დედას, ხან მამას, მაგრამ მისი მშობლები მორწმუნე კათოლიკები იყვნენ, რომელნიც ძველებურად, უბრალოდ მსჯელობდნენ: თუ კაცს სიკვდილი მიუსაჯეს, მაშასადამე, ასეც იყო საჭირო. მაგრამ პატარა რიეგო სხვაგვარად ფიქრობდა.

მან თავი დაანება დედ-მამისათვის შეკითხვების მიცემას. მას უკვე არ შეეძლო ისე ყვარებოდა მშობლები, როგორც წინათ, ვინაიდან ისინი მჩაგვრელების მხარეზე იყვნენ.

რამდენიმე წელი გავიდა.

ანტონიო სკოლაში შევიდა, შემდეგ კი სამხედრო სასწავლებელში.

ის მარტოხელი როდი იყო, სიამოვნებით უახლოვდებოდა ამხანაგებს, მაგრამ ყველას კი არა,—ის ეძებდა მეგობრებს, რომლებიც გაიზიარებდნენ მის იდუმალ მისწრაფებებს, ის კი ბოროტების გამოს-

წორებაზე ოცნებობდა და სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამდა.

მას კი ბევრი რამ აშფოთებდა.

ესპანელი ხალხი გმინავდა საშინელი გადასახადების გამო. გადასახადებს წელიწადში ოთხჯერ კრეფდნენ, ერთნაირად ახდევინებდნენ მდიდრებსაც და ღარიბებსაც. მაგრამ ვისაც ათი ათასი პეზეტი შემოსდიოდა წელიწადში, მისთვის არაფერს არ წარმოადგენდა შეფისათვის ასი პეზეტის მიცემა, ხოლო ვისაც მხოლოდ ასი პეზეტი ჰქონდა—მას, მაშასადამე, ყველაფერზე უნდა აეღო ხელი.

გადასახადის ამკრეფნი დილაადრიან გაჩნდებოდნენ ქალაქში. რიეგო თავზარდაცემული ადევნებდა მათ თვალყურს. გადასახადის ამკრეფნი ჯერ მდიდარ ოჯახებს ჩამოივლიდნენ, სადაც გადასახადის აკრეფა მშვიდობიანად თავდებოდა. იქ მათი ჩანთები ადვილად ივსებოდა ოქროს პეზეტებით. მაგრამ ღარიბების სახლებთან, სადაც მოხელეები ან გლეხები ცხოვრობდნენ, ყოველთვის აყალმაყალი იყო, მამაკაცები ილანძღებოდნენ, დედაბრები ქვითინებდნენ. გადასახადის ამკრეფნი სახლიდან გარეთ მოათრევდნენ მაგიდებს, სკამებს, უხეიროდ ნაკეთებ ავეჯს, ჭილის ტანისამოსს, დაზგებს, რომლებითაც ლუკმაპურს შოულობდნენ მათი პატრონები, და აქვე, ქუჩაშივე, იწყებოდა ვაჭრობა. ყველაფერს ოხერ ფასად ჰყიდდნენ, ვიდრე სავსებით არ შეისრულებდნენ გადასახადს.

მაგრამ ისეთი ღატაკებიც კი იყვნენ, რომლებსაც სკამიც კი არ გააჩნდათ. მაშინ გადასახადის ამკრეფნი მინებს ჩალეწავდნენ ამ ღატაკების ფანჯრებში და თანაც კრძალავდნენ ჩამტვრეული მინების ადგილის რითიმე ამოვსებას. უნდა ითქვას, რომ ესპანეთში მთიან ადგილებში ძალიან სუსხიანი ზამთარი იცის.

რიეგოს ჰყავდა ერთი მეგობარი, რომელიც ძალიან ღარიბი ოჯახიდან იყო. ერთხელ ზამთარში მივიდნენ მასთან გადასახადის ამკრეფნი და მინები ჩაულეწეს. რიეგოს სკოლის ამხანაგის პატარა ძმა, ძუძუმწოვარა ბავშვი, გაცივდა და მოკვდა. დედაც გაცივებამ იმსხვერპლა. ეს რომ გაიგო მეგობრისაგან, რიეგომ შეჰფიცა—შურს ვიძიებო.

მან შეჰფიცა—როდესაც გავიზრდები, შემოვიკრებ ყველას, ვისაც კი ეცოდება ღარიბები, ვინც კი ჩემთან ერთად შეებრძოლება მჩაგვრელებს, რომ დავამხოთ მეფის ხელისუფლებაო.

მაგრამ რიეგო ჯერ კიდევ პატარა და სუსტი იყო, მეფის ხელისუფლება კი ძლიერი. ამის შესახებ მხოლოდ ჩურჩულით შეიძლებოდა ლაპარაკი, ისიც მხოლოდ ორ-სამ მეგობართან.

ბ ვ ე რ ი ლ ი ა ს ე ბ ი

ესე მიზოზინობდნენ წლები. ესპანეთის ხალხს მოულოდნელად დაუდგა მძიმე ხანა. საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონმა ესპანეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. მაშინ ნაპოლეონი ითვლებოდა ყველაზე ძლიერ მეფედ მთელ მსოფლიოში.

მთელი ევროპა ემორჩილებოდა მას: ავსტრია და პრუსია დარბეული იყვნენ, რუსის ჯარებიც ორჯერ დაამარცხა ნაპოლეონმა. პატარა ესპანეთს

არც კი უნდა გაეფიქრებინა ნაპოლეონის უძლეველი ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

ამ შემაძრწუნებელმა ხმებმა დიდი მღელვარება გამოიწვია ესპანეთის ხალხში. მაგრამ უცხოელთა დაპყრობისაგან ესპანეთის დასაცავად არ დარაზმულან არც გრანდები, არც აზნაურები, არც კათოლიკური სამღვდელოება. როდესაც ნაპოლეონმა ჯარები შეიყვანა ესპანეთში, აზნაურები და ეკლესია პირველნი დაემორჩილნენ მას. ღარიბებმა კი განაცხადეს—ჩვენ არ დავემორჩილებით მტერს, ჩვენს სამშობლოს მას არ ჩავუგდებთ ხელშიო. ღარიბებს შორის იყო რიეგოც. ის სათავეში ჩაუდგა ერთერთ რაზმს, რომელმაც ფრანგების წინააღმდეგ გაილაშქრა.

საშიში საქმე იყო. ნაპოლეონი უზარმაზარი ჯარით შევიდა ესპანეთში. თითქოსდა უცებ უნდა აღგვილიყო დედამიწის პირიდან ესპანეთი. მართლაც, მეფე და მისი ოჯახობა დაატყვევეს და საფრანგეთში გადააგზავნეს. ესპანეთის მეფედ ნაპოლეონმა თავის ძმა დანიშნა. ყოველი ესპანელი, რომელიც კი არ დაემორჩილებოდა ფრანგებს, ბოროტმოქმედად იყო გამოცხადებული და მხოლოდ ერთი სასჯელი ელოდა—სამხედრო სამართალში მიცემა და 24 საათში დახვრეტა. ტყვედ არავინ მიჰყავდათ.

საშინელი დღეები დაუდგა ესპანეთს.

ესპანეთის არმია დამარცხდა, ქვეყანა დაიმორჩილეს, ქალაქებში ფრანგების გარნიზონები ჩააყენეს.

მაგრამ რიეგომ და მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს არავითარ შემთხვევაში არ დამორჩილებულიყვნენ.

არის ესპანური სიტყვა—გვერილია. ეს ნიშნავს პატარა ომს. იმათ, ვინც ასეთ ომს აწარმოებს, გვერილიასებს უწოდებენ. ჩვენ კი პარტიზანებს ვუწოდებთ მათ. ეს სიტყვა ჩვენთვის მეტად ნაცნობია.

მთებსა და ტყეებში ისინი მოულოდნელად თავს ესხმოდნენ ფრანგების შიკრიკებს, პატარა რაზმებს. როგორც კი გათავდებოდა ბრძოლა, თვითეული გვერილიასი განსაკუთრებული გზით გასწევდა, ის გლეხები კი, რომელნიც მას ეხმარებოდნენ, შინ ბრუნდებოდნენ. ნაპოლეონს ათასობით ჰყავდა მტერი, არც ერთის დაჭერა კი არ ხერხდებოდა. ფრანგების რაზმებს შორის კავშირი გაწყვეტილი იყო. არმია ვერ იღებდა სურსათ-სანოვაგეს. ერთერთი ისტორიკოსი ამბობდა: „ლომი, რომელიც სიკვდილის პირზე მიაყენა ზღაპარში კოღომ,—აი საფრანგეთის არმიის ნამდვილი სურათი“. ნაპოლეონმა ბრძანება გასცა—გარს შემოერტყით და გადასწვით ტყეებიო, სადაც ყველგან იმალებოდნენ გვერილიასები. მაგრამ ესპანეთში ვრცელი ტყეებია. თანაც გვერილიასებმა გამოქვაბულებში დაიწყეს თავის შეფარება. ნაპოლეონმა ბრძანა გამოქვაბულების გამოსასვლელები ამოექოლათ, მაგრამ არაფერი გამოუშველა.

ასეც ხდებოდა, რომ ფრანგები შედიოდნენ ესპანეთის სოფელში და ვერც ერთ კაცს ვერ ხვდებოდნენ იქ. მთელი სოფელი სადღაც მახლობლად იჯდა მთის გამოქვაბულში.

გამოქვაბულიდან ღამღამობით გამოდიოდა ხალხი, გვერილიასებს უზიდავდნენ სურსათს—პურსა და ყველს—და კვლავ უგზოუკვლოდ ქრებოდნენ.

ასეთ გამოქვაბულს რომ მიაგნებდნენ, ფრანგები გარს ერტყმოდნენ მას. ჯარისკაცები ცეცხლს ანთებდნენ შესავალთან და უცდიდნენ, სანამ კომლით არ აივსებოდა გამოქვაბული.

დიდხანს როდი უხდებოდათ ცდა: გამოქვაბულიდან მალე გაისმოდა კომლისაგან სულშეხუთული ადამიანების გმინვა. ფრანგები უყვიროდნენ: ყველას გაპატიებთ! ვინც კი გამოვაო. მაგრამ არავინ არ გამოდიოდა. გვერილიასები ამჯობინებდნენ კომლით გაგუდულიყვნენ ვიდრე შეწყალება მიეღოთ მტრისაგან—იმდენად დიდი იყო მათი გაბრაზება-გაცოფება.

რიეგო ომის დასაწყისიდანვე გვერილიასების ერთერთი მთავარი ბელადი იყო.

იგი 23 წლისა იყო, როდესაც ნაპოლეონი შეიჭრა ესპანეთში. მაგრამ იგი უკვე მეთაურობდა ფრანგებისათვის ყველაზე საშიშ გვერილიასების რაზმს.

უკვე დიდი ხანია ესპანეთის გზაჯვარედინებზე ეკიდა განცხადებები რიეგოს შესახებ: ვინც მას ცოცხალს ან მკვდარს ჩააბარებდა, ფრანგებისაგან დიდ საჩუქარს მიიღებდა.

მაგრამ ამაოდ პირდებოდნენ ფრანგები ოქროს: ხალხი არ ღალატობდა რიეგოს, ვინაიდან ის ესპანეთის თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ერთხელ გვერილიასებთან მივიდა ფრანგებისაგან გამოგზავნილი ესპანელი. მისი ტანისამოსი დაფლეთილი იყო, თვითონ სულ ჩამომხმარიყო შიმშილისაგან. მან უამბო გვერილიასებს, რომ ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს, მაგრამ იგი არ დახვრიტეს, როგორც ჩვეულებრივ ექცეოდნენ ტყვეებს, არამედ რიეგოსთან გამოგზავნეს იმის სათქმელად, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზროა: მთელი ევროპა ემორჩილება იმპერატორს. სულერთია, გვერილიასები დაიღუპებიან, მაგრამ თუ ისინი იარაღს დაყრიან, იმპერატორი შეწყალებას აღუთქვამს: მათ არ დაუწყებენ დევნას და დამშვიდებით შეეძლებათ ცხოვრება.

—თუ შენ ესპანელი ხარ,—უთხრა რიეგომ შიკრიკს,—როგორ მომიტანე ეგ ამბავი, ან კი როგორ იკისრე მტრისაგან ეგ დავალება?

—მე ეს მხოლოდ იმიტომ ჩავიდინე,—უპასუხა ესპანელმა,—რომ ფრანგებს ვებრძოლო. თუ ცუდად მოვქცეულვარ, დამხვრიტე.

—არ დაგხვრეტ,—მიუგო რიეგომ, მაგრამ უახლოესი შეტაკების დროსავე უნდა დაამტკიცო, რომ შენ ნამდვილი ესპანელი ხარ.

—ამას თვითონვე დაინახავ,—მიუგო შიკრიკმა. მართლაც, პირველ ბრძოლაშივე მან ყველაზე უფრო სახიფათო საქმე იკისრა. იგი იმდენად მიუახლოვდა ფრანგებს, რომ მათი ოფიცრის მოკვლაც კი მოასწრო და თვითონაც იქვე დაეცა მიწაზე: ფრანგის ტყვია შიგ პირში მოხვდა.

გვერილიასებმა ბრძოლის ქარცეცხლში გამოიტანეს მისი ცხედარი. რიეგომ ბრძანა ზეიმით დაემარხათ იგი ტყეში.

—ეს ნამდვილი ესპანელი იყო,—თქვა რიეგომ მის საფლავზე.

გვერილიასები მედგრად განაგრძობდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. გვერილიასების ბელადის რიეგოს ხელში ჩაგდებას დიდხანს ვერ ახერხებდა მტერი. მაგრამ ერთხელ, ბრძოლის დროს, ტყვიამ გადმოაგდო იგი ცხენიდან. იგი დაეცა და ტყვედ ჩავარდა. ფრანგებმა არ იცოდნენ ვინ ჰყავდათ დატყვევებული. არავინ არ გასცა რიეგო, და იგი ისე ჰყავდათ საპატიმროში, რო გორც უბრალო გვერილიასი. შემდეგ გამოუშვეს საპატიმროდან ტ რამდენიმე წელი დაჰყო ტყვეობაში.

ნაპოლეონმაც კი ვერ შეძლო საფრანგეთის რევოლუციის ყველა მონაპოვრის მოსპობა. ესპანეთთან შედარებით საფრანგეთი უფრო თავისუფალი ქვეყანა იყო და რიეგო საფრანგეთში კიდევ უფრო მეტად გაიჟღინთა რევოლუციური სულისკვეთებით.

მხოლოდ შემდგომ, წელიწადნახევარი რომ გავიდა, გაიგეს ფრანგებმა, რომ მათი ტყვე რიეგო იყო.

—ჩვენ ვიცით ვინცა ხარ შენ,—უთხრეს მას,—მაგრამ აგვიხსენი: აბა როგორ შეგიძლია ნაპოლეონს ებრძოლო? მას მთელი ევროპა ემორჩილება, თქვენ კი ძალიან ცოტანი ხართ.

—გადაეცით იმპერატორს,—მიუგო მათ რიეგომ—რომ ყველა ჩვენგანის მოკვლას ის სულერთია ვერ შეძლებს, თუმცა უკვე რამდენიმე წელია, რაც ამას ჩადის. უმჯობესია დავიღუპოთ, მაგრამ კი არ დაგემორჩილებით.

მეფე ფერდინანდ VII, ნაპოლეონის მიერ შეშინებულმა, ხელი აიღო ესპანეთზე. ნაპოლეონმა ის საფრანგეთში დაასახლა ერთ კოშკში. ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა ახლა კორტესებმა (ამორჩეულთა ყრილობა) იკისრეს. ისინი ჯერ პატარა კუნძულზე შეგროვდნენ, შემდეგ კი კადიკში გადავიდნენ — ესპანეთის მიწის ნაგლეჯზე, რომელსაც საფრანგეთის არმიამ ალყა შემოარტყა. ომის ქარცეცხლში მიიღეს კორტესებმა ქვეყნის კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია იმდროისათვის ძალიან მოწინავე და რევოლუციური იყო, ვინაიდან მასში ნათქვამი იყო – ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის და მეფე მის ნებისყოფას გამოხატავსო.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა**

(გაგრძელება იქნება)

ლავრ. ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრიკი

ეს პატარა ნაწყვეტი „ხრიკი“ ამოღებულია ლ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მოთხრობიდან „ს ა რ ბ ე ვ ი“. მოთხრობა გაშლილია 1905 წლის რევოლუციის ფონზე. მთავარი მოქმედი პირი, არის იმდროინდელ შორაპნის მაზრაში მეტად პოპულარული რევოლუციონერი-პარტიზანი ა ფ რ ა ს ი ო ნ მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე. აქ მოთავსებულ ნაწყვეტში მოცემულია ეპიზოდი, როცა მერკვილაძე ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

რედაქცია

1.

ტ ბ ი ლ ი ს ი ს სემინარიაში აფრასიონ მერკვილაძემ ახალი ამხანაგები გაიჩინა. უცხო ბიჭები მალე შეეჩვივნენ ერთმანეთს. აფრასიონი ღვთისმეტყველების მაგიერ სულ სხვა საკითხებზე ლაპარაკობდა, ხშირად ახსენებდა მარქსს, ენგელსს, სენსიმონს, [1]) პრუდონს... [2])

ტიტე ნინიკაშვილს აღარ უკვირდა ეს სახელები, აფრასიონისაგან ქუთაისშიც ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი, ხოლო გავაშელი, ფარეზაშვილი და მარანელი თვალდაჭყეტილი შესცქეროდნენ.

— საიდან იცი შენ ეს ამბები?—შეეკითხა ტფილისელი ნიკო ფარეზაშვილი.

მერკვილაძემ საიდანღაც მსხვილი წიგნი გამოაცოცა.

— ეს წიგნი, ბიჭებო, არსად არ იშოვება, აკრძალულია. მარქსის დაწერილი წიგნია, „კაპიტალი“.

— აკრძალული წიგნი შენ ვინ მოგცა?

— საძებარს რად ეძებთ, წიგნი ხელში გვაქვს, ეიკითხოთ, მხოლოდ ნურავის ეტყვით,—გააფრთხილა ბიჭები.

ეს წიგნი ზაქარია მთაწმინდელისაგან ჰქონდა წამოღებული და არ სურდა მისი გამომჟღავნება. თანაც ფიქრობდა: სკოლაშიც ასეთი წიგნები უნდა ისწავლებოდესო.

ამ იშვიათ წიგნს ყველა ხარბად დაეწაფა.

— კარგი აზრებია,—იმეორებდნენ ამხანაგები ყოველი წინადადების წაკითხვის დროს.

ერთხელ მეცადინეობის შემდეგ ამხანაგებს გამოუცხადა მერკვილაძემ:

— მე ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა გადავწყვიტე, გეგმა შედგენილია. ჩვენი ჟურნალი სემინარიაში მეხივით უნდა გავარდეს. თავზარი დავცეთ საკმეველის სუნით აყროლებულ ხუცებს, მათ უენო მსახურთ, მაგრამ საიდუმლო არ უნდა გაიხსნას.

— მაშ, ჩვენ აღარ ვხუმრობთ,—ტიტე ნინიკაშვილმა იმერული კილოთი ხუმრობით წამოილაპარაკა.

ნოე მარანელმა თავი მოიფხანა, პატარა კახური ქუდი შუბლისაკენ წამოსწია, მსხვილ ფეხებზე გაიჯგიმა. მან ელამი თვალები უცნაურად გადმოატრიალა და ტიტეს მიმართა:

— როგორ ლაპარაკობ, ბიჭო, რა დროს ხუმრობაა. შენა განა აქამდის არ იცოდი, რომა სახუმროდ არა გვცალია?

ყველას მოეწონა ჟურნალის გამოცემის თაოსნობა. მიიღეს დავალებები და გაფაციცებით შეუდგნენ მუშაობას.

2.

ერკვილაძის ბინაზე ყოველდღე დიდი მსჯელობა და გრძელი თათბირი იმართებოდა, გვიან იძინებდნენ ბიჭები, მაგრამ გატაცება მაინც არ აკლდებოდათ. სემინარიაში თავის დროზე მიდიოდნენ დაღლა კი ეტყობოდათ. სახე ჰქონდათ მკრთალი და მიბნედილი. ხშირად გაკვეთილებზეც თვლემდნენ. ღვთისმეტყველების ერთფეროვანი საგნები დაქანცულთათვის კი არა, სხვებისათვისაც თავმომაბეზრებელი იყო.

ერთხელ თეოლოგიის [1]) მასწავლებელი დინჯად შემობრძანდა კლასში და კათედრაზე ავიდა. იქიდან მორიგეობით ეკითხებოდა შეღერებულ ბიჭებს. სემინარიელები გაზეპირებულ ფრაზებს სულ სხაპასხუპით იძლერდნენ. მასწავლებელს არ აინტერესებდა, თუ

[1]) მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის გამოჩენილი უტოპისტი სოციალისტი.

[2]) კ. მარქსის თანამედროვე ფრანგი ანარქისტი, წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი.

[1]) ღვთისმეტყველება.

ვის როგორ ესმოდა ეს გაზეპირებული ფრაზები. მისმა ბოხმა ხმამ ტიტე ნინიკაშვილიც ააყენა ფეხზე. ადგომისთანავე მოჰყვა ტიტე ლაპარაკს. იმერელ ბიჭს რა გააჩერებდა, საკითხი კიდეც რომ არ სცოდნოდა, მაინც ილაპარაკებდა. ახლაც სიტყვახვავრიელობით მასწავლებლის გზა-კვალის აბნევას შეეცადა. ამ ხერხით ბევრჯერ მოუტყუებია...

— მოითმინეთ! — შეაჩერა მასწავლებელმა.

ტიტე მაშინვე გაჩუმდა. მიხვდა, ხრიკმა რომ უმტყუნა, მაგრამ მაინც თავმომწონედ იდგა.

— ვიცი, უფალო მოძღვარო! — მაინც თავს იმართლებდა ტიტე.

— აბა, შენ გვიპასუხე, მარანელო!

მარანელი ზანტად აიმართა. ახოვანი ბიჭი ყველამ დაინახა. მან არ იცოდა რაზე ლაპარაკობდა ნინიკაშვილი. გადახედა მას და თითქოს თვალებით შესთხოვდა მითხარი რამეო. ელამი თვალები ისე დაბრიცა, თითქოს ერთად უნდოდა მთელი ჯგუფის დანახვა.

— გვიპასუხე! — კვლავ გააფრთხილა მასწავლებელმა.

— ვეთანხმები, ბატონო, — დინჯად თქვა კახელმა.

მოწაფეებმა ხელები მიიფარეს ტუჩებზე და ებზრებოდნენ, გაცინება უნდოდათ და ვერ ბედავდნენ. მაგრამ როცა ღვთისმოსავის სახეზე ღიმილი გამოჩნდა, მაშინ მოწაფეებსაც წასკდათ სიცილი, რომელმაც კარგახანს გასტანა, რაკი ყოვლადმოწყალე ბატონი აღარ ჯავრობდა. შემდეგ ხელის აწევა და სიჩუმის ჩამოვარდნა ერთი იყო.

— კახელი რომ ხარ, ეს ვიცი, მარანელიცა ხარ... ალბათ, ტოლუმბაშობაც გეცოდინება, მაგრამ, შეკაი კაცო, ტოლუმბაშობა და სკოლა? სკოლას თავისი ლექსიკონი აქვს.

ამ ამბავმა ასე იოლად ჩაიარა. უკვირდა მთელ ჯგუფს, და აფრასიონიც განცვიფრებით ეუბნებოდა ამხანაგებს: დღეს ძალიან გადავრჩით, მორწმუნენო, ხატებს სანთლები აუნთეთო.

აკ. ონელი

რა არ ვნახე ამ ზაფხულზე—
ბობოქარი ტალღა ზღვისა,
მთის ჰაერი, მთის სიმაღლე,
თუ სიმკვირცხლე ბანაკისა...

მზის საამო აბაზანამ
გამიკაჟა ხმა და ჯანი,
ცურვაში ხომ, თქმა არ უნდა,
ვარ ნამდვილი ფალავანი.

დილით ვერვინ ამასწრებდა,
განთიადის ვიყავ თვალი,
რა პეიზაჟს არ ხატავდა
მზე, ვარდისფრად ჩამავალი!

ნიშანში რომ თოფს ვესროდი,—
ფეხზე იდგა მთელი ტირი,
ოცში ოცი მოვახვედრე,
ყველა დარჩა განაკვირი.

მოვრჩი უკვე... დავისვენე,
ჯანსაღ სულში ვიგრძენ ძალა,
ხვალიდან კი სხვა სიამე:
ისევ სკოლა, ისევ სწავლა!

რომ იცოდეთ, რა სურვილით,
რა ოცნებით ხარობს გული,
სკოლა მზეა... ჩვენ ვართ სხივთა
მოკაშკაშე თაიგული...

ჩვენ საყვარელ სამშობლოში
ვართ მომავლის მტკიცე ძალა,
აზრს მოხიბლავს, აჩირაღდნებს
ისევ სკოლა, ისევ სწავლა!



მოსკოვ-ვოლგის არხი

საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი დღითიდღე იზრდება და ფართოვდება. დღევანდელი მოსკოვი უკან იტოვებს გუშინდელ მოსკოვს, ხვალინდელი მოსკოვი—კი უკან მოიტოვებს დღევანდელს.

პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებით მოსკოვის განვითარების პერსპექტივაში შეტანილია მოსკოვში ხუთი ზღვის—ბალტიის, კასპიის, თეთრი, შავი და აზოვის ზღვების ნავსადგურის შექმნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი დედაქალაქი მოსკოვი თეთრი ზღვის არხით დააკავშირა თეთრ ზღვასთან, ე. წ. მარინის სისტემის საშუალებით ბალტიის ზღვასთან, მოსკოვ—ვოლგის არხით კასპიის ზღვასთან, ხოლო ვოლგა—დონის არხით, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია მე-3 ხუთწლედში, მოსკოვი დაუკავშირდება შავ და აზოვის ზღვებს. ასეთია გრანდიოზული გეგმა მოსკოვის ნაოსნობის განვითარებისა.

ამ წერილში ჩვენი მიზანია გესაუბროთ ეხლახან დამთავრებულ მოსკოვ—ვოლგის არხის შესახებ.

მოსკოვი გაშენებულია მდინარე მოსკოვზე. ეს მდინარე საკმაოდ პატარა და ჭუჭყიანია. მასზე შეუძლებელია საზღვაო გემებით მოგზაურობა, ამიტომ 4 წლის წინათ პარტიამ გადაწყვიტა მდ. მოსკოვი გაემდიდრებინა წყლით, ისე რომ მასზე თავისუფლად ევლო საზღვაო გემებს.

მაგრამ როგორ, რა გზით?

ქ. მოსკოვის ჩრდილო—აღმოსავლეთით მომდინარეობს მსოფლიოში საკმაოდ მოზრდილი მდინარე ვოლგა. ვოლგა, როგორც იცით, კასპიის ზღვას ერთვის, ასე რომ მდ. მოსკოვსა და ვოლგას შორის



არხის გაყვანა შესაძლებლობას იძლეოდა სამხრეთის შორეულ ქვეყნებში გემოგზაურათ გემით უშუალოდ პირდაპირ მოსკოვიდან.

საბჭოთა ხელისუფლებამაც ეს გზა აირჩია. ჩვენი საყვარელი ბელადის—დიდი სტალინის ინიციატივით, მოსკოვის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხმა, ინჟინრებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა დაიწყეს ამ გრანდიოზული არხის აგება.

დაიწყო მშენებლობა, მაგრამ...დაბრკოლებად აღიმართნენ ვოლგის სამხრეთ—აღმოსავლეთით მდებარე მაღალი გორები. დაისვა კითხვა: როგორ უნ, და აეძულებინათ ვოლგის წყალი წასულიყო ზევითგადაელახა მაღალი გორები და არხით ჩასულიყო მდ. მოსკოვში?

ჩვენმა ინჟ. სპეციალისტებმა კარგად იციან ხალხური ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. იქ, სადაც მდ. მოსკოვსა და ვოლგას შორის მანძილი საკმაოდ მცირდება და იქმნება ვიწრო ყელი, ვოლგაზე გააკეთეს ბეტონის გრანდიოზული გადასაკეტი. გადასაკეტთან დაგუბდა წყალი და გაჩნდა ტბა. წყლის ზედმეტმა ნაწილმა კი გადალახა გადასაკეტი და შეიქმნა გრანდიოზული ჩანჩქერი.

დაგუბებული ვოლგის წყალი გაუთანასწორდა სამხრეთ—აღმოსავლეთით მდებარე გორებს და გაჩერდა. წყალმა მაინც არ გადალახა დაბრკოლება. საბჭოთა ინჟინრები არ შედრკნენ და მძლავრად შეუტიეს ბუნებას. მათ აქ მოაწყეს უზარმაზარი ტუმბოები, რომელთა საშუალებით ვოლგის დაგუბებული წყალი გორების სიმაღლემდის ადის, გადალახავს მას, შემდეგ კი არხის საშუალებით ერთვის მდ. მოსკოვს.

ცხადია, რომ ტუმბოებით არ შეიძლება აწეულ იქნეს გორაზე გემი. გემებისათვის საბჭოთა ხალხმა არხზე ააშენა ბეტონის გიგანტური რაბები, ერთი უფრო მაღალი მეორეზე. გემი შედის დაბალ რაბში, ეს რაბი მაშინვე იწყებს წყლის ტუმბვას. წყალი უფროდაუფრო მატულობს და გემს სწევს სულ მაღლამაღლა, სანამ არ მიეცემა გემს საშუალება გადაცურდეს მეორე რაბში.

ამრიგად, რაბების საშუალებით ლახავს გემი გორებს და ეშვება არხში. არ-

ხის რაბები წარმოადგენენ ბეტონის ისეთ ნაგებობას, რომელთა დანიშნულებაა გემების აყვანა ან ჩაშვება წყლის ერთი საფეხურიდან მეორეზე. არხის მთელ მანძილზე 10 ასეთი რაბია მოწყობილი.



მოსკოვ—ვოლგის არხი თავისი პროფილით წააგავს უზარმაზარ წყლის კიბეს,—რომელიც საშუალოდ 85 ნახევარი მეტრის სიგანითა და 5 ნახევარ მეტრის სიღრმით 128 კილომეტრის სიგრძეზეა გაჭიმული.

ასეთია მოსკოვ—ვოლგის არხის ზოგადი ჩონჩხი.

მოსკოვ—ვოლგის არხი მსოფლიოში ერთერთ უდიდეს არხს წარმოადგენს. იგი თავისი კალაპოტით პანამის[1]) არხთან შედარებით ორჯერ მეტია. პანამის არხზე 3 კაშხალია, მოსკოვ—ვოლგის არხზე კი 10, პანამის არხზე 6 რაბია, მოსკოვ-ვოლგისაზე კი 11, პანამის არხი 32 წელს შენდებოდა, მოსკოვ-ვოლგის არხი კი 4 წელიწადში აშენდა.

მართალია, სუეცის[2]) არხი სიგრძითა და სიღრმით უფრო დიდია მოსკოვ-ვოლგის არხზე, მაგრამ თავისი ტექნიკით მარტივ ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს.

[1]) პანამის არხი—პანამის ყელი აერთებს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას. პანამის არხი კვეთს პანამის ყელს.

[2]) სუეცის არხი—ხმელთაშუა და წითელი ზღვების შემაერთებელი არხია.

მოსკოვ-ვოლგის არხი სტალინური ეპოქის დიდი ძეგლია, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის გმირობასა, ვაჟკაცობასა და მაღალ იდეურობაზე მეტყველებს.

ეპოქის ამ შესანიშნავ ძეგლში განსახიერებულია საბჭოთა ხალხის სიდიადე, მისი უძლეველობა, მაღალი ტექნიკა, ადამიანთა გატაცება სამშობლოს საქმით, მაღალი არქიტექტურული კულტურა.

სტალინური ეპოქის წინაშე უკან იხევს ძველი ქვეყანა, ზღვა, მდინარე, შორეული პოლუსი, ჰაერი, უფსკრული.

მოსკოვ-ვოლგის არხიც ამაზე ღაღადებს.

არჩ. დავთიანი

სანდრო ქლენჯი

როცა სიო გაშრიალებთ,
შარიშური ისმის მაშინ;
თქვენც, ჩიტებო, ინავარდეთ
მაგ ფოთლების მწვანე ზღვაში.

თითქოს გული ყლორტს ესხმება
და ვიზრდები ყლორტის ღეროდ...
იშრიალეთ, იშრიალეთ,
რომ შრიალმაც დაიმღეროს...

მე მახარებს კვირტის თვალი
და ფოთლები კიდევ უფრო,—
ბუჩქებს, ხეებს, პლანტაციებს
ვეკისკისო, ვესაუბრო.

ვესაუბრო, მაგრამ სიტყვას,
ვერ დაიტევს ლექსის ბწკარი,
დავეპკურო თქვენ სიმწვანეს,
ვიყო მაინც დილის ცვარი!

იშრიალეთ, იშრიალეთ,
უალერსეთ ოქროს ნაყოფს,
თქვენთან ერთად ყვავის მიწაც,
მზე კაშკაშებს და მზე გამკობთ...

მიხეილ ბარამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ჩვენი სოფლის ბოლოში პატარა მდინარე მიშხუის, ყოველთვის წყაროსავით ცივი და ანკარა. მით უმეტეს შემოდგომა-ზამთრობითაა ლამაზი ის, როცა ერთ დონეზე დგას და ერთნაირი ძალღონით მიწანწკარებს ქაფმორეული ჭალანგარ ქვებზე.

პატარა, 10-11 წლის ბავშვებს ჩიტივით გვიცემდა გული, როცა ჩვენთვის საყვარელ მდინარის ნაპირს ავედევნებოდით და გაფაციცებით ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, თუ უწინ ვინ შეამჩნევდა ანკარა მდინარეში გამოქცეული კალმახის ტკაცანს.

ვერ წარმოგვედგინა მაშინ, თუ ქვეყანაზე თევზაობაზე, და მით უმეტეს კალმახის ჭერაზე, უკეთესი კიდევ იყო რაიმე.

და აი, ის იყო ჩავირბინე თემშარაზე, რომ ჩვენი მეზობლის პატარა ბიჭი გოგია შემხვდა.

— ბიჭო, კალმახები მეგულება...—მითხრა მან. მე ყურები დავცქვიტე.

— ისე წავიდეთ, რომ არავინ დაგვინახოს. ქვედა ხიდზე გავიდეთ... ჩალას კი მე დაგარღვევინებ და გამოგატანინებ.

— კარგი,—ვუთხარი მე.

ჭალაში მდინარის ორსავე ნაპირზე ნოემბრის თოვლი იყო ჩაყინული. ჩვენ პატარა ქალამნებით მივჩახჩახებდით გადავერცხლილ ყინვაზე.

ხიდზე გავირბინეთ, მაგრამ უშველებელ კლდეს მივადექით. გოგია არ შემდგარა. იქ მან, მგონი, თაგვის სორებში მიმავალი გზებიც იცოდა. სადღაც კაცის ფეხის კვალი მოძებნა, პატარა ბილიკს გაჰყვა და წყავნარში დიდი ვაივაგლახით გადავძვერით. ჩავედით ჭალაში და მდინარის ნაპირს ავედევნეთ. ის იყო პატარა შენაკადს მივადექით. გოგიამ შიგ თითი ჩაყო.

— ნახე!—მითხრა.

მეც თითი ჩავყავ და სითბო ვიგრძენი.

— ახლა ტობავს კალმახი და ამისთანა წყალს აუცილებლად შეჰყვებოდა,—მითხრა მან.

— შეჰყვებოდა,—დავემოწმე მეც.

— ტყუილი სცოდნია გოგიას!—გავიფიქრე,—მეგულებაო მითხრა. მაგრამ ამაზე ახლა ფიქრი ხომ ზედმეტია. შენაკადს ფეხაკრეფით ავყევით. მერე რამდენიმე ნაბიჯით დავშორდით და უწყვეტ თოვლზე კატასავით დავიწყეთ სვლა და თვალთვალი. შეჩერდა გოგია. სილაზე შენაკადი პატარა ტბორს აკეთებდა, რომელსაც ყურებდაცქვეტილები დავაცქერდით. წყლის ლივლივზე კალმახის მთელი ჯარი გამოჩნდა, ირგვლივ ქვიშაზე წრეს აკეთებდა, ამ დროს კალმახი კვერცხებს ყრიდა და მუცლით ქვიშას ეხახუნებოდა.

— აბა კარგად დააკვირდი! სულ შიგნით დედა კალმახები იქნება,—ველარ მოითმინა გოგიამ და ყურში ჩამჩურჩულა. მალე ხელით განზე გამწია და ასე მოვეფარეთ თუ არა, მოკურცხლა.

— სად მირბიხარ, სად!

დავედევნე იმას ყვირილით, გული კი უკან მწევდა.

— აქვე გოდორა მაქვს, ამოვაგდოთ და ჩავუდგათ,—შეჩერდა ის.

განზრახვა უკვე გასაგები იყო და ისევ მოვკურცხლეთ. მივრბოდით, მაგრამ გზა არ ილეოდა. რამდენიმე კილომეტრზე შენაკადს მივადექით. გოგიამ მოზრდილი გოდორა ამოაგდო წყლიდან. აქეთ-იქით თითები გავუყარეთ და ისევ უკან მოვკურცხლეთ. შემოვურბინეთ ქვევიდან ტბორს, და გოდორა პირაღმა ჩავუდგით.

— ზემოდან უნდა მოვეპაროთ და მოულოდნელად დავცხოთ ქვები: კალმახი მდინარისკენ გაიქცევა და მთლიანად გოდორაში ჩაცვივა,—თქვა გამოცდილმა მეთევზემ. (მაშინ გოგიას ასე ვეძახდი).

ტბორს ფეხაკრეფით მოვუარეთ, მოვაგროვეთ ქვები და ერთბაშად ტყვიებსავით დავცხეთ. შევამჩნიეთ, რომ თვალზე უსწრაფესად გაიქცა ქვევით თევზების მთელი ჯარი. მაგრამ ერთი თითის ტოლა და ოქროსავით ყვითელი თევზი არ შეგვეპუა, ფეხდაფეხ ჩავარდნილ გოგიასაც ზაუშპა ქვებში.

— ალბათ, აქაურია, აქ გაზრდილია, სიამოვნებით თქვა გამოცდილმა მეთევზემ.—მაინც ჩვენს ხელში არის!

ჩქარა ყველაფერი გათავდა. სულმოუბრუნებლად მივვარდით გოდორას. დაწმენდილ წყალში თევზების კარმიდამო საშინლად აოხრებული მოჩანდა. ქვებით გატენილი გოდორა ისე ირხეოდა, რომ შიგ დიდი ორომტრიალი იყო. გაგვაცვიფრა თევზების

თოვლზე მოძრაობამ, როცა ყელამდე ავსილ გოდორას ფსკერი მოვხადეთ და თოვლზე გამოვყარეთ.

დაღამდა. სოფელში სიჩუმე ჩამოვარდა. გვესმოდა მხოლოდ მდინარის წყნარი ხმაური, ჩქაფაჩქუფი ქვებიდან ქვებზე და გულის დამყუჩებელი შიშინი. მალე მახლობელ გორაკიდან მთვარე ამოცურდა. ყველაფერი თეთრად განათდა. ჩვენ კი ისევ ნანადირევს შევხაროდით. გადაგვვიწყებოდა სახლი და სოფელიც. მხოლოდ დედაჩემის ხმამ გამოგვარკვია. საშინელი ცივი ხმით მეძახდა, სოფელს აყრუებდა. მაშინ მივხვდი, რომ შევაწუხე არამც თუ მშობლები, არამედ მეზობლებიც. მაინც ხმას არ ვიღებდით. მთელი სოფლის წინაშე გაკიცხვა, რომელსაც არ დაერიდებოდა მაშინ დედაჩემი, დიდ სირცხვილად მომაჩნდა. სხვა დროს ვინ იცის როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ ახლა ერთადერთი გამოსავალი სწორედ ჩემს დღევანდელ ნადირობაში უნდა მომენახა, რომელმაც ასე გამიტაცა და ყველაფერი გადამავიწყა. ამიტომაც იყო, რომ თავი ვაჟკაცურად მეჭირა.

ვინ იცის, როგორი მწვავე წკეპლით დამხვდებოდნენ სახლში...

ამის შემდეგ აღარ დაგვიყოვნებია; თევზები ისევ თხრიდნენ თოვლს ცხვირით. სწრაფად ჩავყარეთ გოდორაში და სიხარულით გავეშურეთ.

უნდა გენახათ ხიდის თავში ჩვენი სიამოვნება; რადგანაც აქ ჩვენი გზა იყოფოდა, ნანადირევიც უნდა გაყოფილიყო. მე რცხილის წკეპლისაგან მოზრდილი კაკვი გამოვჭერ, გოგიას კი საკუთარი ჭურჭელი ჰქონდა. ამის შემდეგ დავსხედით იქვე დიდრონ ქვებზე, ჯერ დავთვალეთ კალმახი, მერე დავმტკავლეთ და საფარდოდ დავაწყვეთ. გვიკვირდა, რომ ყველაზე პატარა კალმახი მტკაველზე ნაკლები არ იყო. ორიც სიგრძით მტკაველნახევარი გამოვიდა.

—ესენი მშობლებია, უმცროსები კი მათი შვილები, —თქვა გამოცდილმა მეთევზემ. ამის შემდეგ ამოვიყვანეთ ფარდები და ერთმანეთის მადლიერი მეთევზეები ჩვენ-ჩვენ სახლში გავეშურეთ.

მივდიოდი წყნარად, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. მაწუხებდა მხოლოდ ერთი ფიქრი—თუ რაგვარ უნდა ვჩვენებოდი დედაჩემს. რაც უფრო ვუახლოვდებოდი სახლს, ეს ფიქრი მით უფრო ძლიერი და გადაუწყვეტელი ხდებოდა. ეზოში წავიამ დამიყეფა, მაგრამ ჩქარა გავაჩუმე. გული კი უფრო და უფრო მითრთოდა, უნდა გამოგიტყდეთ, უფრო მეტად სიხარულისაგან, ვიდრე შიშისაგან, რადგან მეც მონადირის ხალისით ვიყავი შეპყრობილი.

შევდექ მხოლოდ დერეფნის ახლოს. წავია, როგორც კარგი მოციქული, მაშინვე შევარდა კუდის ქნევით სახლში. არ დამიყოვნებია, წამოვკიდე კაკვი მოგრძო ჯოხზე, რომელიც მანამდე ხელში მეჭირა, და კარებში შევყავი. სახლში დიდი ამბავი იყო. ყველა ჩემზე ლაპარაკობდა. იმედს გამოთქვამდნენ, რომ სადმე მეზობლებში ვიქნებოდი. მაძებრადაც გამოეგზავნათ ჩემი უფროსი ძმა.

მაგრამ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. მათ უთუოდ შეამჩნიეს კალმახის დიდი მტევანი, რომელიც ვიღაცას განგებ ჩამოეკიდა ჯოხზე. ერთბაშად ხმამაღალი სიცილი ატყდა.

— ეპატიოს, უთუოდ ეპატიოს!

მოისმა უცხო ხმები.

— ეშმაკი! რას არ მოახერხებს!—თქვა მაძებრელმა.

— ძალიან კი უნადირია და სხვა შენ იცი,— იმეორებდა ისევ ის უცხო პირი.

გულზე მომეშვა. ჯოხი თევზიანად ვიღაცამ გამომართვა, და მეც გავბედე სახლში შესვლა. პირველად თავდახრილი ვიყავი, მაგრამ მალე ავწიე თავი და გაამაყებული სახე გამოვაჩინე. ნანადირევს ხელიდან ხელში ატარებდნენ. სტუმრებიც გულმოდგინედ ათვალიერებდნენ. ერთმა მათგანმა მხარზე დამკრა ხელი და მოფერება დამიწყო.

დიახ, უბრალოდ არ აქებდნენ ჩემს ნანადირევს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

შჩედრინი

ფხიზელი თვალი*

მთელ დღეს ასეთ წამებაშია ბიჭუკელა, საღამოს ბრუნდება შინ დასასვენებლად. ჩაწვება საწოლში და ფიქრობს: „მე ყველაფერი სავსებით შევასრულე, რაც მთავრობას სურს! მტაცებლები, მექრთამეები, გარყვნილები და ბოროტმოქმედნი ჩემი ერთი ფხიზელი თვალის მეოხებით გავფანტე, ხელშემშლელებს კი, რომელნიც უსაქმური საჩივრებით აწუხებენ მთავრობას, განსაკუთრებით გავუსწორდი! სიწმინდეა, კეთილშობილება. იმედი მაქვს, რომ მთავრობაც, თავის მხრივ, ჯეროვანად დააფასებს ჩემს შრომას!

მაგალითად, რა უნდა ვისურვო? — ეუბნება ის თავისთავს. სენატში მოვხვდე — ცალ ყურში ჯერ კიდევ მესმის, ან კი სად წამივა სენატი... აი რომ — თუნდაც ჯერ კი არა, თავის დროზე-აი რომ მოვხვდებოდე... არა, იქ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყნოსვის უნარიც დამეკარგება. არა, აი ახლა, უახლოეს მომავალში, მაგალითად, რა უნდა ვისურვო?

იავადმყოფებდა, იავადმყოფებდა წარმოდგენას და, ბოლოს, დაიავადმყოფა კიდეც. „რაც შეიძლება მალე უნდა შევირთო ცოლი — აი რა“.

და ვინაიდან საცოლის საძებნად ფხიზელი თვალი გამოიყენა, ცხადია, მაშინვე აღმოაჩინა. სახელდობრ: ისეთი ლამაზი ქალიშვილი აგრიპინა, რომ ზღაპარშიც ვერ იტყვი, კალმითაც ვერ აღწერ. და მას ჰქონდა ორასი ათასი: სწორედ ისე, როგორც მომგებიანი შინაგანი სესხის ბილეთის წესია.

* დასასრული. იხ. № 7.

შეირთო. შესანიშნავი ქორწილი გადაიხადეს ზავიტაევის სასადილოში და შინ წამოვიდნენ ახალ ბინაზე. ხედავს ბიჭუკელა, რომ პატარძალი რატომღაც მძინარა თვალქვეშ მიმალულა. შეუძახ-შემოუძახა: „აგრიპინა! სადა ხარ?

— აგრიპინა კი არა ვარ, არამედ აგაფია. ჩემი დღეობა 5 თებერვალსაა.

აი სეირი! ბიჭუკელა კიდეც გაფითრდა შიშისაგან: ნუთუ მისი სამსახურის მსვლელობაში ავი სულები ჩაერევნენ?

— გამოჩნდი... — აგაფია! წარმოთქვა მან. ხედავს: აგაფიასაც, როგორც მას, ცალი თვალი მძინარა აქვს, მეორე ფხიზელი. მხოლოდ მას მარჯვნივ აქვს ფხიზელი თვალი, აგაფიას კი მარცხნივ. თითქოს მათ თვით განგებამ მიუსაჯა ერთად გაეწიათ საპროკურორო სამსახური.

— მზითევი გაქვს თუ არა?

— არც მზითევი მაქვს, მხოლოდ ერთი ფხიზელი თვალი მაქვს — ესაა და ეს.

— აი ჯანდაბამდის გზა გქონია! აგრიპინა იყო და უცებ აგაფია გახდა! — დაიწყო კვლევა, თუ რანაირად უნდა მომხდარიყო ეს საქმე და გამოირკვა, რომ სულ უბრალოდ მომხდარა. ვიდრე ის ფხიზელი თვალით ერთს მხარეს ათვალიერებდა, აგრიპინა ერთი წეთით გავიდა და ოფიცერს გაჰყვა ცოლად. მან კი შეირთო... აგაფია.

მაგრამ აბა რაღას იზამ. ტყუილუბრალოდ ხომ არ მიუცია საქორწილო ფული ზავიტაევისათვის — როგორმე უნდა იცხოვრონ. დაწვნენ დასაძინებლად, მაგრამ ფრთხილად არ იყვნენ: მისჩერებიან ერთმანეთს ფხიზელი თვალით — პროკურორს შიშით ჟრუანტელმა დაუარა! მას ჟრუანტელი უვლის, აგაფიას კი წარბიც არ შეუხრია.

— ალქაჯი ხარ თუ რა? — ჰკითხა მან აგაფიას: — სთქვი! — არა, ალქაჯი კი არა, შენი კანონიერი მეუღლე ვარ. აქამდის კი ნაქურდალ ძველ წინდებს ვყიდდი აპრაქსინის ბაზარზე.

— როგორ თუ ნაქურდალს? ეს როგორ მოხდა, რომ მე ვერ დაგიჭირე?

— განა შენ შეგიძლია ვინმე დაიჭირო? შენი თვალი სულ ერთ მხარეს იცქირება, ხოლო შენ ვერ ხედავ რა ხდება შენი მარცხენა ნესტოს ქვეშ.

— მაშ, რაკი ასეა, მოდი, ერთად დავიწყოთ ქურდების ჭერა. მე მარჯვნივ, შენ მარცხნივ.

ერთი სიტყვით, ისე კარგად მოეწყვნენ, რომ ერთი წლის შემდეგ ვაჟი შეეძინათ. მასაც ფხიზელი თვალი დაჰყვა.

— ეს რა უცნაურია! — წამოიყვირა ბიჭუკელამ, როდესაც თავის პირმშოს შეხედა.

მხოლოდ ახლა მიხვდა ის, რომ თუმც ძალიან ძვირფასია ფხიზელი თვალი, ორი ჩვეულებრივი თვალი კი, მგონი, უფრო ძვირფასიცაა.

მისი სამსახური კი, ამასობაში, თავისი გზით მიემართებოდა. თანდათანობით მან ყველა ციხე გამოავსო მყვირალებით, მტაცებლებით, მეანგარეებით, კონცესიონერებით და სხვ. ნამდვილი დამარღვეველნი კი ამავე დროს არხეინად გრძნობდნენ თავს მისი მძინარა თვალის ქვეშ.

დიდხანს გაგრძელდა ასე თუ ცოტა ხანს, ბოლოსა და ბოლოს მას ორივე ყურჭა უმტყუნა. ფხიზელი თვალიც კი თანდათანობით ეხეჭებოდა. მაშასადამე, საუკეთესო დროა სენატს მიაშუროს, ვიდრე ყნოსვა სულ არ დაუკარგავს.

ესმის... ეძახიან!

ჩაიცვა ფანელის ფუფაიკა, შალის წინდები, ქეჩის ფეხსაცმელი, ყურები ბაგირით დაიკო, ქაფურის ზეთი დაისხა სუნისათვის, ქურქში გაეხვია, აგაფიამ კი ქურქზე შალის შარფიც შემოახვია, და წავიდა სენატში. მიდის და ფიქრობს: ნეტავი, სენატში რომ დავჯდები, პირველად რანაირ სიზმარს ვნახავო?

მაგრამ აქ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. ვიდრე ის ფხიზელი თვალით სულ მარჯვნივ და მარჯვნივ იცქირებოდა, სენატი მარცხნივ წავიდა და მძინარე მხარეს გაინაბა. ეძებს პროკურორი კურალესიჩი, ცხვირით ჰაერს ყნოსავს, ენასაც ამწლაკუნებს და ხელებსაც კი აფათურებს ირგვლივ, — ვერანაირად ვერ მონახა სენატი.

დაბოლოს, ხედავს გოროდოვოი ფხიზლობს სადარაჯოზე. ადგა და მას მიმართა. — ასეა და ასე, ჩემო კარგო: ხომ არ იცი, სად წავიდა სენატი?

შეხედა მას გოროდოვოიმ და უცებ მიხვდა, რომ ის ფხიზელი სულის პატრონი იყო.

— ვიცი, — უპასუხა მან, — სენატი აი აგერ არის! აი, მხეზე თამაშობს! თვალყურს ადევნებს, რომ რომელიმე ცელქმა კანონს ფეხი არ დააბიჯოს... ოხ, შენ, ოხ! მაგრამ ყველასათვის კი არა გვაქვს ჩვენ სენატში ადგილი შემონახული. აი, შენ წიგნში იცქირებოდი, და ბრაწს ხედავდი, ახლა კი აქაურ ადგილებზე შენნაირების დასმა აკრძალულია. უმჯობესია, სახიჩარო, შინ დაბრუნდე: ქეჩის ფეხსაცმელი გაიხადე, თვალები ამოიფშვნიტე, ყურები გამოირეცხე და დედაკაცთან დაწექი ტახტზე დასაძინებლად! ჩვენ კი ახლა აქაურ ადგილზე ასე გვაქვს შემოღებული: თავიც და სხვა ასოებიც — ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იყოს, თვალები და ყურები კი-ყველას ღია უნდა ჰქონდეს.

და ვერ მოხვდა პროკურორ კურალესიჩი სენატში.

თარგმ. **შ. თაბ-ლისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. კახიანი

ბეჰემოტი



აფრიკა სავსეა ისეთი ცხოველებით, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში არ ცხოვრობენ და რომელთა შესახებ ხშირად უბრალო წარმოდგენაც კი არა გვაქვს. **ბეჰემოტი,** ანუ ჰიპოპოტამი, ამ ცხოველთა რიცხვს განეკუთვნება. მისი სიგრძე 4,5 მეტრს აღემატება, სიმაღლე 1,5 მეტრს, წონა კი 2000—3000 კილოგრამამდის აღწევს. ეს ვეებერთელა ცხოველი გარეგნობითაც უცნაურია. ტანით ის ნახევრად კამეჩს და ნახევრად ღორს მოგვაგონებს. ვეება ოთხკუთხა თავზე ორი მომცრო ყური და თვალები აქვს, ხახა და დინგი კი იმდენად დიდი, რომ ქვეყნად არ არის სხვა ცხოველი, რომელიც ამ მხრივ მას შეედრებოდეს.

ბეჰემოტი წყლის ცხოველია, მდინარის მკვიდრი (მდ. ნილოსი და სხვ.), ხმელეთზე მძიმედ დაბაჯბაჯებს და გზაზე თავის ნაფეხურებით ღრმა ორმოებს აჩენს. წყალში თავისუფლად დასრიალებს.

ბეჰემოტი ძირითადად მცენარეულობითა და ბალახით იკვებება.

დღისით ის მდინარეში მშვიდად, მოსვენებით წევს, თვლემს ან თავს იქცევს წყლის ბალახით, ხოლო როცა ბინდდება, ჩვენი გოლიათები საოცრად ცოცხლდებიან, დიდი და პატარა ერთად გამოდის სათამაშოდ. ისინი მართავენ სასაცილო რბენას, დახტიან, ერთმანეთს დასდევენ, ურთიერთს სცემენ, გამაყრუებელ ხმაურსა და ალიაქოთს ტეხენ. ყველა ცხოველი შიშით გარინდებული უსმენს მათ უცნაურ თამაშს, და ყველანი შეუცნობელ შიშს გრძნობენ ბეჰემოტის მიმართ. ვინ გაბედავს მათ საქმეში ჩაერიოს და თავისუფალ მოთამაშეთ ხმამაღლა „წესრიგისაკენ“ მოუწოდოს? მხოლოდ ადამიანი ახერხებს მათი მყუდროების დარღვევას. ადამიანი ცეცხლისმფრქვევი იარაღით, შხამიანი ისრით და სხვა საშუალებით სძლევს ბეჰემოტს.

ბეჰემოტი უჩვეულო სიავითა და გაბოროტებით უტევს ხოლმე მონადირეს. ცოფმორევით დასდევს და თუ ხელში ჩაიგდებს, უეჭველად ნაფლეთებად აქცევს. ერთობ მძლავრი და მოქნილი ყბებით ის სულ ერთიანად გლეჯს დაჭერილ მსხვერპლს. მარტო მისი ქვედა ეშვი 50 სანტიმეტრის სიგრძისაა და 4 კილოგრამს იწონის.

ბეჰემოტის არც ტყავი და არც ხორცი იმდენად არ ღირს, რომ კაცმა მის მოშინაურებაზე იზრუნოს. სარგებლობის ნაცვლად მას მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანისათვის.

მუსიკალური გამოცანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა თ. შავერზაშვილისა



კროსვორდი

შედგენილი ნ. ჯაშის მიერ



სიტყვები ჰორიზონტალურად

4. მოდგმა, ჯიში.
6. ნახევარკუნძული შორეულ აღმოსავლეთში.
10. ადგილი შვეიცარიაში, რომელიც განთქმულია მარილის ბუდობებით.
11. ქალ. სტამბოლის ძველი სახელწოდება.
13. მდინარე დასავლეთში, რომელზედაც გადის ს ს რ კ საზღვარი.
16. ნავსადგური შავზღვაზე.
17. ს ს რ კ მოსაზღვრე სახელმწიფო.
18. მდ. გერმანიაში.
19. უდიდესი უდაბნო აზიაში.
20. მდინარე აფრიკაში
21. ბასკთა ხალხის წარმომადგენელი,
22. უდიდესი ჩანჩქერი მსოფლიოში.
24. იაპონიის ძველი სატახტო ქალაქი
26. განთქმული აგარაკი შავ ზღვ ახე, ყირიმში.
28. მდინარე ესპანეთში.
29. ძლიერი გრიგალი ჩინეთის ზღვაზე და მის სანაპიროებზე.
32. პოლონეთის დედაქალაქი.
33. ქალაქი საფრანგეთში, განთქმული თავისი ცეხე-სიმაგრით.
34. მკვლევარი, რომელმაც შეისწავლა კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მატერიკი.
36. მდინარე საფრანგეთში.
37. მალაის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული.
38. მთაგრეხილი სამხრ. ამერიკაში.
42. ავსტრიის დედაქალაქი.
43. მდინარე საქართველოში.
44. ვულკანური წარმოშობის შადრევანი.
45. ქალაქი ჩინეთში.
46. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.
51. ტბა კანადაში.
53. კუნძული მალაის არქიპელაგში.
54. რესპუბლიკა პირინეის მთებში.
56. ქალაქი სირიაში.
59. ჩეხო-სლოვაკიის დედაქალაქი.
60. მდ. დუნაის უდიდესი შენაკადი.
62. უდიდესი მდინარე დას. ევროპაში.
63. ლატვიის დედაქალაქი.
65. ვულკანი იტალიაში.
66. რესპუბლიკა სამხრეთ ამერიკაში.
67. დიდი ნავსადგური ჩინეთში.
68. ავტონ. ოლქი სსრკ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.

სიტყვები ვერტიკალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმპერიალისტური სახელმწიფო.
2. მდინარე ციმბირში.
3. უდიდესი ტბა მსოფლიოში.
4. მდინარე საფრანგეთში, რომელიც ხმელთაშუა ზღვას ერთვის.
5. სსრკ ერთ-ერთი მოკავშირე რესპ. მთავარი ქალაქი.
7. მდ. ვოლგას შენაკადი.
8. მდ. საფრანგეთში.
9. ამერიკელი მკვლევარი, რომელმაც პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.
12. ქვეყანა აღმ. აზიაში.
13. მთაგრეხილი ცენტრალურ აზიაში.
14. მდინარე ესპანეთში.
15. ჰოლანდიის სახელი მეორეგვარად.
19. კუნძული ყარსის ზღვაში.
23. ამერიკის შეერთებული შტატები.
25. აგარაკი საფრანგეთის უკიდურეს სამხრეთში.
27. ერთ-ერთი მატერიკი.
30. ქალაქი უკრაინაში.
31. მდინარე, რომელიც ბალტიის ზღვას ერთვის.
32 ნავსადგური იტალიაში, რომელიც განთქმულია ხიდების სიმრავლით.
35. კუნძული ლამანშის არხში.
36. უდაბნო აფრიკაში.
37. ქალაქი გერმანიაში, განთქმული თავისი უნივერსიტეტით.
39. დანელი მკვლევარი.
40. ქალაქი ციმბირში.
41. ესპანეთის დედაქალაქი.
42. მდინარე ფინეთში.
43. ჩანჩქერი მდ. ვუოკსაზე.
45. დედამიწა ბერძნულ ენაზე.
47. მდინარე გერმანიაში.
48. ქალაქი მესოპოტამიაში მდ. ტიგროსზე, მდიდარი ნავთის საბადოებით.
49. მდინარე საფრანგეთში
50. ქალაქი ერიოს ტბაზე, რეზინის მრეწვ. ცენტრი (ჩ. ა. შ. შ.)
52. იტალიის დედაქალაქი.
53. მდ. ვოლგას შენაკადი.
55. რესპუბლიკა ცენტრალურ ამერიკაში.
67. იტალიის კოლონია აფრიკაში.
58. ნავსადგური ესპანეთში.
61. მდ. ობის შენაკადი.
64. რესპუბლიკა სამხრ. ამერიკაში.

ბუნებრივი კალენდარი

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მუშტი ერთგვარ ბუნებრივ კალენდარს წარმოადგენს. მის საშუალებით შეგვიძლია, სადაც არ უნდა ვიყოთ და როცა არ უნდა იყოს, გავიგოთ დღეთა რაოდენობა ამათუიმ თვეში. დააკვირდით მუშტის საწყისს, სახსრებში გვაქვს 4 ბორცვი, თითოეული ბორცვი მეზობელ ბორცვთან აჩენს ჩაღრმავებას. აი ეს ბორცვები და ჩაღრმავებანი შეადგენენ ერთგვარ „კალენდარს“.

გაგების წესი ასეთია: დავმუშტავთ ხელს და საჩვენებელი თითის ბორცვიდან ან ნეკის ბორცვიდან,—სულ ერთია,—დავიწყებთ თვეების დასახელებას—იანვარი, თებერვალი და ა. შ. პირველ წყებაზე დავითვლით შვიდ თვეს, რომელთაგან ოთხი მოხვდება ბორცვებზე, სამი კი ჩაღრმავებებში. როცა მეოთხე ბორცვზე მოვრჩებით თვლას, დანარჩენ თვეთა დასახელებას განვაგრძობთ ისევ იმ თითიდან, საიდანაც დავიწყეთ.

ამგვარად, ის თვეები, რომლებიც მოხვდებიან ბორცვებზე, შეიცავენ თითოეულად 31 დღეს, ხოლო დანარჩენები, ჩაღრმავებაზე მოხვედრილნი, 30 დღეს, მხოლოდ თებერვალი (იგი პირველ ჩაღრმავებაში მოხვდება) ამ სათვალავში არ მიიღება, რადგან ის, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ წელიწადში 28—დღიანია, ნაკიანში—29 დღიანი.

ა. იასამანი.

პასუხისმგებელი რედაქტორი **დ. მჯედლიშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი **ელ. აგლაძე**

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების **ი. ქოქიაშვილის** და **ვ. ჯაფოშვილის** მიერ

მთავლიტი 10524 შეკვ. 692 ტირაჟი 4.600 ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

ფასი 50 კაპ.

37245
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

ამ კვადრატში წარმოდგენილია: 1, 1, 1, 1, 2, 2, 2, 2, 3, 3, 3, 3, 4, 4, 4, 4, ეს ციფრები უნდა გადასვათ კვადრატში ისე, რომ ვერტიკალურმა და ჰორიზონტალურმა ხაზებმა, აგრეთვე დიაგონალებმა რიცხვების შეკრებისას მოგვცეს ერთი და იგივე ჯამი.

ციფრები ისე უნდა გადაისვას, რომ ერთ ხაზზე არ მოხვდეს ორი ერთნაირი ციფრი.

1	1	1	1
2	2	2	2
3	3	3	3
4	4	4	4

1	2	3	4
2	3	4	1
3	4	1	2
4	1	2	3

ვინ გამოიცნობს?

ერთხელ გივიმ სკოლაში დასვენების დროს ასეთი ამოცანა უთხრა ამხანაგებს 100 უნდა გავყოთ 4 ნაწილად ისე, რომ თუ პირველ ნაწილს მივუმატებთ 4-ს, მეორეს გამოვაკლებთ 4-ს. მესამეს გავამრავლებთ 4-ზე, ხოლო მეოთხეს გავყოფთ 4-ზე, მაშინ ჯამი, ნაშთი, ნაწარმოები და ნაწილადი თანაბარი უნდა იყოსო.

პიონერებმა ბევრი იფიქრეს, მაგრამ ასეთ რიცხვებს მაინც ვერ მიაგნეს.

ბოლოს ისევ გივიმ გადაწყვიტა ეს ამოცანა.

აბა, როგორ გააკეთა გივიმ, ვინ გამოიცნობს?

კლ. თევზაძე